საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**წიაღის ეროვნული სააგენტო**

KA020139529641519

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

**# 22/8664** **08 / ნოემბერი / 2019 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხატია წილოსანს

ქალბატონო ხატია,

თქვენი, 2019 წლის 8 ნოემბრის №10991/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის განცხადებას, თანდართული დოკუმენტაციით და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ ტერიტორიაზე ფიქსირდება„ლებარდეს" მინერალური წყლის (ჩამოსასხმელი) მოპოვების მიზნით, 2009 წელს, 25 წლის ვადით, შპს „მარტვილის წყლები"-ზე გაცემული წიაღითსარგებლობის ლიცენზიები (ლიც. №1002857 და ლიც. №1004771) და სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონა.

წიაღის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, მეექვსე პუნქტის მიხედვით, რომელიც არეგულირებს სამთო და გეოლოგიური მინაკუთვნის საზღვრებს, განსაზღვრულია, რომ „თუ წიაღის უბანი გადაცემულია მიწისქვეშა წყლების საბადოს დასამუშავებლად, სამთო მინაკუთვნის საზღვრები წიაღში მოიცავს წყალშემცველ ჰორიზონტს და მიწის ზედაპირზე წარმოადგენს სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას. ამ შემთხვევაში მიწის ზედაპირზე სამთო და შესაბამისი მიწის მინაკუთვნის საზღვრები უნდა გადიოდეს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი და ხელოვნური გამოსავლებიდან არანაკლებ 15 მეტრში".

დანართი - 1 რუკა

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე — ნანა ზამთარაძე